№ 172
ოთხშაბათი, 9 აგვისტო, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 172
ოთხშაბათი, 9 აგვისტო, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გ. მავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ეპისკოპოსის ბესარიონის

გვამი გამოსვენებულ იქმნება არქიელის სახლიდგან ქუთაისის საკათედრო ტაძარში დასაკრძალავად ოთხშაბათს, 9 აგვისტოს, დილის 9 საათზედ. (2—6.—2)

## ფოთის საბუღალტერო კურსები

კ. ციცინეიშვილისა.

ახალ შემომსვლელთაგან თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდგან. მსურველთ პირობები და პროგრამები გაეგზავნება მუქთად. (15—6.—13)

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები**, თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე**, ისე **სარჩულები**. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფურიძითა და ნაჭრობით.

(50—6.—10) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ ბედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ხაგშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ ბედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**მ. გ. წერეთელი**, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკოვიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სალოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—საფილისსა, კანისა და საშარდესი—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. ბედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კროატი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კროატი ღარიბთათვის უფასოა.

ბუგა, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ ბედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ს. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памяти. Воронцову.

## მკურნალი
## ვ. გ. წერეთელი

იღებს

შინაგან და ბავშვების სნეულებით ავადმყოფთ დილის 9—12 საათამდე. და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ელიზაბედის ქუჩა, № 27, ჯაფარიძის სახლი. (უ)

დღეს, 9 აგვისტოს, გაიხსნება და დაიწყებს მუშაობას

## კანტორა

**ნატარიუსის ილია ივანეს ძის წინამძღვრიშვილისა.** კანტორა იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, მეორე სართულში, № 2. (1—უ.—1).

### მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: პოდპორუჩიკობა—ნიკოლოოზის საინჟინერო აკადემიაში მყოფს პოდპორუჩიკს ზედგინიძეს; კაპიტნობა—კავკასიის საინჟინერო პარკის შტაბს-კაპიტანს თავად თარხნიშვილს. გუბერნსკი სეკრეტრობა—შემახის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეს მოლოდინაშვილს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა—ნოვოროსიისკის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეს ლორთქიფანიძეს; ნადვორნი სოვეტნიკობა—ყარსის ოლქის ოლთის ნაწილის ხარჯთ ამკრებ ინსპექტორს ქუთათელაძეს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა—დაღესტნის ოლქის ავარო-ანდიის ნაწილის ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორს მდივნიშვილს.

### ნეკროლოგი

† ყოვლად სამღვდელო ბესარიონ, ეპისკოპოსი იმერეთისა

ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, ეპისკოპოსი იმერეთისა, როგორც ვუწყით, გარდაიცვალა 3 აგვისტოს ღამეს; იგი ეკუთვნოდა საქართველოს წარჩინებულს გვარს—დადიანს, იყო შვილი-შვილი სამეგრელოს მთავრის მანუჩარისა; ამ მანუჩარის შემდეგ მთავრობა გადავიდა გრიგოლ დადიანზედ, რომ-

## ფელეტონი

### მოგზაურობა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრესი გურიაში.

ივნისის 28-დგან ივლისის 21-მდე ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ მიმოვლო სარევიზიოდ ორი საბლაღოჩინო ოლქი ჩოხატაურისა და აკეთისა. დაათვალიერა ოცამდე ეკკლესია და ორიც ახლად აგებული ეკკლესია (ვანისა და ჯუმათისა) აკურთხა მათმა მეუფებამ. ყოველგან ღირსებისა თუ ნაკლულევანების შესაფერი მოწონება და შენიშვნა გამოუცხადა კრებულსა და მრევლს. ყოველს ეკკლესიაში წირვის გარდახდა მოუხდა ყოვლად სამღვდელოს, მაგრამ, მიუხედავად ივლისის სიცხეებისა, მიუხედავად ცხენით მგზავრობისა და უხერხულის გზებისა, მხცოვანს მწყემსთ-მთავარს დაღლილობა არ ეტყობოდა და ჩვეულებრივი სულიერი სიფხიზლე არა ჰღალატობდა. დილით ყველაზედ ადრე ის იყო ფეხზედ და თვისს მხლებლებს თითონვე აღვიძებდა და სალოცავად იწვევდა. მაშინ ძალა-უნებურად მოგვაგონდებოდათ სიტყვები მაცხოვრისა მძინარე მოციქულთადმი მიმართული: „იღვიძებდით და ილოცევდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა! სული გულსმოდგინე არს, ხოლო ხორცნი უძლურ".

წირვის მოსასმენად ყოველგან დიდ-ძალი ხალხი გროვდებოდა და სტკბებოდა მწყობრად შეხამებულის სამღვდელ-მთავრო წირვის მოსმენით. განსაკუთრებით კარგად ჰმოქმედებდა მსმენელებზედ გურული წკრიალა გალობა და არხიდიაკვნის მ. ლ. ხოშტარიას ლაზათიანი ხმა. ნაწირევს დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი ყველანი დიდის სასოებითა და კრძალვით ეშურებოდნენ სათაყვანო მწყემს-მთავრის წმინდა მარჯვენაზედ ამბორებას და მისგან ლოცვა-კურთხევის მიღებას. გულით სწყინდა მათს მეუფებას გაშლიაპოსნებულ მანდილოსანთა ნახვა და ამ წყენას ყოველთა გასაგონადაც აცხადებდა.

—

საკათედრო ტაძრის კანდელაკის მამა არსენი თოხაძის მოხსენებით მათმა მეუფებამ, სხვათა შორის, ყურადღება მიაქცია ვინმე ერმალოზ მინდელის მიერ დახატულს კანკელებს, რომლებიც ყოვლად შეუსაბამო და უვარგისი აღმოჩნდა. ბ-ნი მინდელი იმდენად დახელოვნებული და განსწავლული მხატვარი ყოფილა, რომ არა თუ წმიდანთა სახის ჯეროვანად გასურათება არ შესძლებია, არამედ, ასე გასინჯეთ, ცხენის დახატვაც-კი ვერ მოუხერხებია ცოტაოდენის სინამდვილით მაინც. უვიცობა ყოველგან კადნიერი და თამამია და ეს არა-სასურველი თვისებანი ბ-ნის მინდელის უვიცობასაც დასჩემებია. ყოველს მის მიერ დახატულის კანკელის ბოლოზედ დიდრონის ასოებით არის დაწერილი: „ხელობა ერმალოზ მინდელისა". ალბად ბ-ნს მინდელს მისი „ხელობა" ნამდვილი მხატვრული ნაწარმოები ჰგონია და თავიც მოსწონს მით, რომ ასე აშკარად აცხადებს თავისს სახელსა და გვარს. ღმერთმა მშვიდობა მისცეს მასაც და მისს მუშტრებსაც! ხოლო მე თუ მკითხავთ, იმას მოგახსენებთ, რომ იმისი საქმე კანკელების ხატვა სრულიადაც არ არის. შეიძლება იმისი „ხელობა" ტფილისის რომელსამე მიყრუებულს ქუჩაზედ გასაღდეს, სადაც დიდი მოთხოვნილებაა კურიოზულის „ვივესკებისა".

ჯუმათის ახლად აგებულის ეკკლესიის კანკელი დაუხატავს ბ-ნს ვ. ბალანჩივაძეს და, სამწუხაროდ, ამასაც გამოუჩენია საკმაო გულ-მოდგინება ამ საღმრთო საქმის აღსრულების დროს. ზოგი სურათი რომ ჯეროვანის სინამდვილით არის დახატული, იმავე დროს ზოგი მეტის-მეტად შეუსაბამო და ულაზათოა. აქედგან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ბ-ნს ბალანჩივაძეს ზოგი ხატი თითონ დაუხატავს და ზოგიც ხელ-ქვეითებისათვის დაუხატვინებია. ან არა და, ერთნაირის გულ-მოდგინებით არ უმუშავნია ამა თუ იმ სურათზედ.

ამ ორ მხატვართა შესახებ ყოვლად სამღვდელომ ბრძანა, განკარგულებას მოვახდენ, რომ ჩემს ეპარქიაში იმათ კანკელის დახატვა აღარ მიენდოსო.

—

სოფ. ჰინჰათის ეკკლესია დიდი ხანია რაც უნუგეშო ყოფაშია და განახლებას თხოულობს, მაგრამ დღემდე ვერაფერი ეშველა, რადგანაც მრევლი ორს დასად არის გაყოფილი და საეკკლესიო ადგილის შესახებ ერთმანეთში ვერ მოთავსებულან. ერთს ნაწილს უნდა ეკკლესიის აგება იქ, სადაც დღეს არის, ხოლო მეორე ნაწილი თხოულობს იმის სხვა ადგილზედ გადატანას. დიდი განსხვავება მოპირდაპირეთა უმეტეს-უმცირესობაში არ არის და ამიტომ საქმე მეტის-მეტად გამწვავებულია. რევიზიის დროს ყოვლად სამღვდელომ დაათვალიერა ორივე საეკკლესიო ადგილი და უპირატესობა მეორეს მისცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში-კი, თუ იქ მოპოვებულ იქმნება საკმაო მიწა როგორც ეკკლესიისათვის, ისე სამრევლო სკოლისა და საკრებულო სახლისათვის. პირველი მხარე ამაზედ უკმაყოფილო დარჩა და დაჟინებით ითხოვა ეკკლესიის გადაუტანლობა იმ მოსაზრებით, რომ ეს ალაგი შუაგულია სოფლისაო. მაშინ ყოვლად სამღვდელომ ბრძანა: მოხერხებულისა და საუკეთესო ადგილის გულისთვის ცოტაოდენის მანძილის გავლა ძნელი საქმე არ არის. ხოლო თუ რომელსამე ნაწილს მრევლისას ახალს ადგილზედ გადატანით ეკკლესია დიდად დაუშორდება, იმ ნაწილს შეუძლიან ზედ-მიწერილი ეკკლესია გაიკეთოს და სასაფლაოც გაიჩინოს მისთვის მოხერხებულს ადგილზეო. მაგრამ ყოველს შემთხვევაში, რომ თქვენ გულნაკლულნი არ დარჩეთ ჩემით, კამისიას დავნიშნავ, რომელიც ადგილობრივ გაეცნობა და გაარკვევს ყოველს წვლილსა და კერძოს ამ საკითხისას და რასაც დაასკვნის, იმას დავამტკიცებო. ძველის ადგილის მომხრეებმა მწყემსმთავრის ეს ღვთისნიერი განკარგულებაც შორს დაიჭირეს და ვნახოთ, რითი გათავდება საქმე. ასე თუ ისე, გადაწყვეტა ამ საკითხისა ძალიან დაჩქარებას თხოულობს, რადგანაც აწინდელი შენობა ეკკლესიისა თითქმის დანგრეულია და ცოტა ხნის შემდეგ შეუკეთებლად შიგ ღვთის მსახურების აღსრულება შეუძლებელი იქმნება.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის შთამომავალია აწინდელი ოჯახი სამეგრელოს უგანათლებულესის თავადის ნიკოლოზ მინგრელსკის—დადიანისა, მაშასადამე ყოვლად სამღვდელო ბესარიონი ახლო ნათესავია ამ ოჯახისა. ყოვლად სამღვდელო ბესარიონი სიყმითვე შესდგა ბერად და ღრმა მოხუცებამდე ღვთის-მოსავეობაში გაატარა ჟამნი თვისის ხანგრძლივის ცხოვრებისა. ამ წლის მარტში მას შეუსრულდა ოცდახუთი წელიწადი მას აქეთ, რაც იგი მღვდელთ მთავრის ხარისხზედ იქმნა აღყვანილი; პირველად იგი დანიშნეს იმერეთის ეპისკოპოსის ვიკარად (თანაშემწედ) ყოვლად-სამღვდელო გაბრიელთან, ჰმართავდა სამეგრელოს და იწოდებოდა სამეგრელოს ეპისკოპოსად, იმერეთის ეპარქიის ვიკარად; შემდეგ დანიშნეს საექსარხოსოს მეორე ვიკარად, ალავერდის ეპისკოპოსის სახელით, ამასთანავე იგი იყო წინამძღვარი შუამთის მონასტრისა და ალავერდის ტაძრისა. შუამთის მონასტერი მისის მეცადინეობით იქმნა გამშვენიერებული: გამართა რიგიანი საცხოვრებელი სახლი და კარგად მოაწყო იგი. 1895 წელს, როდესაც ყოვლად-სამღვდელო იმერეთისა, ნეტარ-ხსენებული გაბრიელი ავად გახდა, ეპისკოპოსი ბესარიონი უწმიდესის სინოდის ნება-რთვით დაინიშნა იმერეთის ეპარქიის დროებით მმართველად; ეპისკოპოსი გაბრიელი გარდაიცვალა 25—26 იანვარში 1896 წლისა, ამ დროიდგან ეპისკოპოსი ბესარიონი კვალად დასტოვეს იმერეთის მმართველად; 6 ივნისს 1898 წ. ხელმწიფე-იმპერატორმა კეთილ-ინება და დაამტკიცა იგი იმერეთის ეპისკოპოსად. განსვენებული რაც იმერეთში გადავიდა, მუდამ სნეულობდა; თირკმელების ავადმყოფობა ჰქონდა; თუმც ამ ზაფხულს მკურნალებმა ურჩიეს სამადნო წყლებზედ წასვლა საწამლებლად, მაგრამ ვერ მოახერხა წასვლა სხვა-და-სხვა მიზეზის გამო.

# ახალი ამბავი

*** 6 აგვისტოს დილით ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს, ეპისკოპოსს გორისას მოუვიდა შემდეგი დეპეშა პეტერბურგიდგან საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანესაგან: „იკისრეთ და განკარგულება მოახდინეთ ყოვლად-სამღვდელო ბესარიონის გვამის დაკრძალვის შესახებ იმერეთის საეკკლესიო ხაზინის ხარჯით, აგრეთვე მიიღეთ ეპარქიის საქმეთა გამგეობა". ყოვლად სამღვდელო ლეონიდე გუშინწინ, 7 აგვისტოს, საღამოს წაბრძანდა ქ. ქუთაისში ყოვლად სამღვდელო ბესარიონის გვამის დასაკრძალავად; ქუთაისში დაჰყოფს რამდენსამე დღეს საქმეების წეს-რიგში მოსაყვანად.

*** ორშაბათს, 7 აგვისტოს, აწ განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ბესარიონის სულის მოსახსენებლად გორის ეპისკოპოსმა ლეონიდმა და ალავერდსამ—კირიონმა ტფილისის სამღვდელოებითურთ პანაშვიდი გარდაიხადეს.

*** იმერეთის ეპარქიის საქმეთა გამგეთ დროებით, ვიდრე ახალს განკარგულებას მოახდენდეს უმაღლესი მთავრობა, ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოსი ლეონიდია დანიშნული.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწერილობით ტფილისის გუბერნატორის მიმართ განმარტებულია, რომ ამიერიდგან სახლის პატრონთა სიაში შეტანილ იქმნას ყველა, წლოვანობისა და სქესის განურჩევლად, ვინც-კი ამ სიის გამოქვეყნებამდე ერთის წლით ადრე ქალაქის ადგილზედ უძრავ მამულის მესაკუთრედა, ან-და მფლობელად ირიცხებოდა და ვისი ქონებაც, ე. ი. უძრავი, ას მანეთზედ მეტადა ღირს. წინანდელის წესით, სახლის პატრონთა სიაში მხოლოდ მამრობითის სქესის წევრნი შეჰყავდათ და ისიც არა ნაკლებ 25 წლისა, ახლა-კი სიაში ყველანი იქმნებიან შეტანილნი, წლოვანობისა და სქესის განურჩევლადა და საარჩევანო ხმაც ექმნებათ.

*** ამიერიდგან რუსეთის რკინის გზათა ყველა სადგურზე შეიძლება პირდაპირი ბილეთები შეიძინონ პეტროვსკ-ბალაჯარის გზით კავკასიაში მიმავალმა მგზავრებმა.

*** საერო განათლების სამინისტრომ საყოველთაოდ გამოაქვეყნა მიწერილობანი იმის შესახებ, თუ ვაჟთა გიმნაზიებში ამიერიდგან რა გეგმით უნდა სწავლობდნენ ძველს ენებს და საშუალო სასწავლებლების საპედაგოგო საბჭონი რა წესითა და რიგით უნდა ადგენდნენ სასწავლო საგნების პროგრამებს.

*** ჭიათურაში მომუშავე ხალხის ჯანმრთელობისა და საქონლის თვალყურის სადევნებლად შავი ქვის მრეწველთა ადგილობრივს სამმართველოს 1,980 მან. გადაუდვია წლიურად. ამ ფულით მოწვეული იქმნება ერთი ბეითალი, რომელსაც ჯამაგირად 1200 მან. დაენიშნება და ერთიც ფერშალი, რომელსაც 420 მ. მიეცემა. გარდა ამისა, დანარჩენის 360 მანეთით დაიქირავებენ საბეითალო დარაჯს. სხვათა შორის, განზრახვა თურმე აქვთ საბეითალო სამკურნალოც დააარსონ, რომ მღვიმე-მადაროებში მომუშავე საქონელს დროზედ და ადგილობრივვე აღმოუჩინონ ხოლმე საჭირო დახმარება.

*** ამ რამდენისამე წლის წინად ბაქოში მოკლულ ვექილის სტაროსელსკის შესახებ, როგორც მოგეხსენებათ, ხელმეორედ იქმნა გამოძიება დანიშნული. ეხლა, როგორც გაზ. „კასპი" იწერება, ტფილისის სასამართლო პალატის ბრალმდებელის ამხანაგის ბრძანებით გაუუქმებიათ.

*** გუშინ, 8 აგვისტოს, ქაშვეთის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის რუსეთის პოეტ ფილოსოფოსის ვლად. სოლოვიოვის სულის მოსახსენებლად. წირვასა და პანაშვიდს დაესწრნენ ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი და სხვანი.

*** საერო განათლების სამინისტროს განმარტებით, სკოლებთან არსებულ მასწავლებელთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებასა და ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელს საზოგადოებას, რომელნიც ნორმალურ წესდების მიხედვით ჰმოქმედებენ, უფლება აქვთ უძრავი ქონება შეიძინონ.

*** როგორც ს. ახალქალაქიდგან (გორის მაზრა) იწერებიან, იქ ამ თვის 19 გაიმართება წარმოდგენა კნეინა ნინო გიორგის ასულის თარხან-მოურავის თაოსნობით ახალ-ქალაქში განზრახულ ქსენონის სასარგებლოდ.

*** გზათა სამინისტროს საბოლოოდ გარდაუწყვეტია, რომ ყველა ტეხნიკურ სკოლაში იქმნას შემოღებული, როგორც სავალდებულო საგანი, სამკურნალო ელემენტალურ ცნობების სწავლება.

*** გზათა სამინისტროს კითხვა აღუძრავს ფინანსთა სამინისტროში, რომ არსებული აგურის ტარიფი გადათვალიერებულ იქმნას.

*** ქალაქის საარჩევნო თანამდებობაზედ ამორჩეულ პირების დამტკიცება, სენატის განმარტებით, დამოკიდებულია ადგილობრივ საგუბერნიო მთავრობისაგან, რომელმაც უნდა შეკრიბოს ამორჩეულ პირის შესახებ დაწვრილებითი ცნობები.

*** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, გზათა მინისტრს სასტიკი განკარგულება მოუხდენია, რომ რკინის გზებზედ, სადაც კი ერთი მატარებლიდგან მეორეში გადასხდომაა საჭირო, კონდუქტორებმა უთუოდ ჩამოიარონ ხოლმე ადრევე ვაგონები და მგზავრების გასაგებად ხმა-მაღლად განაცხადონ, რომ გადასხდომაა საჭირო. განსაკუთრებული ყურადღება-კი ამ მხრივ მესამე კლასის მგზავრებს უნდა ჰქონდეთ მიქცეულიო.

*** „მოსკოვის ვედომოსტების" სიტყვით, სამხედრო სამინისტროს განუმარტავს, რომ აფიცრებს, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთის ჯარებში ირიცხებიან და რომელთაც მთავარ შტაბის აკადემიაში შესასვლელი ეგზამენები კარგად დაიჭირეს, ამ შესვლის უფლებით შეუძლიანთ ერთის წლის შემდეგ ისარგებლიან და ჯერ-კი ისევ თავისს ჯარებს უნდა დაუბრუნდნენო.

*** სენატის განმარტებით, ვაქსისა და მელნის მომმზადებელს ებრაელებს, როგორც ხელოსნებს, ნება აქვთ იმპერიის ყველა ადგილას იცხოვრონ.

*** საქონლის მოსარეკ გზაზედ, ტფილისში, სამსახურიდგან გამოსულ ბეითალის ტ. გ. ბოლოტოვის ნაცვლად, რომელმაც მთელი 37 წ. იმსახურა ტფილისის გუბერნიაში, დანიშნულ იქმნა ბეითალი დანილოვი.

*** ჩაქვის საუფლისწულო მამულში ამ წელს 150 ფუთამდე ჩაის მოსავლის იმედი აქვთ. ცნობილი ჩაის ვაჭარი სასტორგუევი გირვანქა ჩაიში ეხლავე აძლევს თურმე მანეთ-ნახევარს.

*** ბორჯომი. 5 აგვისტოს მთელი ბორჯომი შეაძრწუნა ტრაგიკულმა სიკვდილმა მოსკოვის სატეხნიკო სასწავლებლის სტუდენტის ფარსადანოვისამ. განსვენებულს დიდად უყვარდა თურმე მოგზაურობა, ფეხით სიარული. მაგალითად, ქვეითად ჰქონდა გავლილი კავკასიის გზა. 5 აგვისტოს თავისს მოსაუბრეთათვის სტუდენტ-ტეხნოლოგის ზ. და კადეტის ნ—სათვის უთქვამს, რომ მთის ცეცაბოუბზედ ავიდეთ იმ ადგილამდე, სადაც ჩანჩქერია სამკურნალო წყლების სასეირნო ბაღის თავზედაო. ისინიც დაეთანხმნენ თურმე და შეუდგნენ აყე ლ

მათის მეუფების მადლობა და ყურადღება დაიმსახურა რევიზიის დროს ჯუმათის მღვდელმა სამსონ დარჩიამ, რომელსაც სულ ცოტა ხნის განმავლობაში დიდად კოპწია და მოხდენილი ხის ეკკლესია აუგია და მრევლისათვის სამაგალითო ხელმძღვანელობა და დახმარება აღმოუჩენია მით, რომ შეწირულება უგროვებია საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში.

ასეთისავე მადლობის ღირსი გახადა ყოვლად სამღვდელომ სოფ. ვანის მრევლი და ამავე მრევლის მღვდელი მიხაილ ჩიჩუა. ვანელებმა მართლაც და სამაგალითო ქვის ეკკლესია ააგეს, ვანის ქვა მთელს გურიაში განთქმულია ფერითა და სიმტკიცით და რა კი ვანელებს ასეთი კარგის ღირსების ქვა ახლოს ეშოვებოდათ, აღარ დაზოგეს შრომა და წარსაგებელი და შედარებით მცირე რიცხოვანმა მრევლმა ჩინებული ეკკლესია გაიკეთა, იმდენად ჩინებული, რომ ვისაც დაუთვალიერებია, ყველანი ბახვის ეკკლესიას უდრიან და ზოგნიც უპირატესობას აძლევენ. ბახვის ეკკლესია კი, როგორც მოგეხსენებათ, ნეტარ-ხსენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის საფასით არის აღშენებული და დღემდე პირველობას გურიაში არც ერთი სოფლის ეკკლესია არ შესცილებია.

—

ამ სამისა თუ ოთხის წლის წინად ადგილობრივ ქართულსა თუ რუსულს გაზეთებში არა ერთხელ დაბეჭდილა სოფ. აცანიდგან მოწერილი ამბავი, რომ ბლაღოჩინი მღვდელი სილიბისტრო ჩხაიძე ძველის ძველს ეკკლესიას, ძველის დიდების ნაშთს, ძველის მხატვრობითა და წარწერებით შემკულს უდიერად ანგრევს და სხვას ახალს აშენებსო. ამ ამბავმა მოსკოვის საიმპერატორო საარქეოლოგიო საზოგადოების ყურამდე მიაღწია. საზოგადოებამ ადგილობრივ საეპარქიო მთავრობას მოსთხოვა პასუხი და, ვგონებ, გამოძიებაც დაინიშნა. ამ რევიზიის დროს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ, დაათვალიერა რა ხსენებული ეკკლესია, დარწმუნდა, რომ გაზეთების მიერ გავრცელებული ხმები ძველის ტაძრის განადგურების შესახებ ნაყოფი ყოფილა სიცრუისა, ხოლო სიცრუე, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც პირადის მტრობის ნიადაგზედ აღმოცენებულა. მართალია, მამა სილიბისტრო ჩხაიძეს ტაძარი განუახლებია, მაგრამ ძველი მხატვრობა და წარწერანი ხელ-უხლებლად დაუტოვებია. განახლებაც იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ ძველის ტაძრის დასავლეთის კედელს ვერ აუტანია ხანგრძლივი ბრძოლა ქვენა ქართან თუ ქარიშხალთან და ჩამონგრეულა. აუღიათ და ამაზედ ახალი შენობა მოუმატნიათ და ეკკლესია დასავლეთის მხრით გაუფართოვებიათ, ხოლო ძველი შენობა, რადგანაც მეტის მეტად მცირე ყოფილა, სრულიად საკურთხევლად გადაუქცევიათ. ძველი მხატვრობა და წარწერანი ეხლაც უვნებლად არის დაცული ისე; როგორც ეს აწერილი აქვს განსვენებულს დ. ბაქრაძეს. (იხ. იმისი წიგნი „არქეოლოგიური მგზავრობა გურიასა და აჭარაში"). უკეთუ მამა ს. ჩხაიძე იმ თავითვე მზრუნველობით და გულმტკივნეულობით არ მოჰკიდებოდა საქმეს, ტაძარი მართლა დაინგრეოდა და განადგურდებოდა წარწერა-მხატვრობითურთ, ხოლო ეხლა ყოვლისავე ამისგან უზრუნველ ყოფილა. „ჟამთა სიავე" და თანამედროვე ცხოვრების ჭირი და წყლულია, რომ სიკეთის მომქმედ ადამიანს აუგსა და სიდუხჭირეს სწამებენ და მეორე კიდევ საქვეყნოდ, გაზეთის საშუალებით. მაგრამ „უნდა ვინუგეშოთ იმითი, რასაც დავით წინასწარმეტყველი ამბობს ცილის მწამებელთა შესახებ: „მიექცეს სალმობა მისი თავსა მისსა და სიცრუე მისი თხემსა მისსა ზედა დაუხდეს".

—

სოფელ აკეთის მაცხოვრის ეკკლესიაში ყოვლად სამღვდელომ მოისმინა ქალებისაგან ქართული გალობა და ამ ამბით მათი მეუფება დიდად აღტაცებული და ნასიამოვნები დარჩა. ამ ეკკლესიის წინამძღვრად სულ რამდენიმე თვე იქმნება, რაც მღვდელი დავით ჯინჭარაძე იქმნა დანიშნული. პატივცემულს მოძღვარს, როგორც გალობის კარგად მცოდნესა და გატაცებით მოყვარულს, მოსვლისათანავე უმთავრესი ყურადღება ამ საგნისთვის მიუქცევია. პირველად მისი სურვილი ყოფილა, რომ მგალობელთა გუნდი განსაკუთრებით მამაკაცთაგან შეედგინა, მაგრამ, სამწუხაროდ, მამაკაცებს საკმაო ბეჯითობა და გულ-მოდგინეობა ვერ გამოუჩენიათ და დაწყებული საქმე სასურველად ვერ მოგვარებულა. მაშინ ქალებს განუცხადებიათ სურვილი გალობის სწავლისა და ეს სურვილი მამა ჯინჭარაძის დაუღალავის შრომის მეოხებით და მათის მუყაითობის წყალობით განხორციელებიათ კიდეც, ყოვლად სამღვდელომ მადლობა გამოუცხადა მამა ჯინჭარაძეს ასეთის უსასყიდლო და სასარგებლო შრომისათვის და შემდეგისათვის უსურვა მხნეობა.

—

20 ივლისს მათმა მეუფებამ დაათვალიერა კონჭკათის ზედმიწერილი ეკკლესია, რომლის გაშტატების შესახებ დიდი ხანია თურმე, სადაც ჯერ არს, შუამდგომლობს მრევლი, მაგრამ დღემდე საწადელს ვერ ჰღირსებია. ყოვლად სამღვდელომ, გაეცნო-რა ყოველის მხრით ამ ეკკლესიის გაშტატების ამბავს, სურვილი მრევლისა სცნო დაკმაყოფილების ღირსად და აღუთქვა მრევლს, რომ პირდაპირ მე ვიშუამდგომლებ სათანადო მთავრობის წინაშე და იმედიცა მაქვს, ეს თქვენი დიდის ხნის სურვილი, როგორც ყოვლად საფუძვლიანი და კანონიერი, შეწყნარებულ იქნებაო. მწყემსმთავრის ასეთმა სანუგეშო დაპირებამ მრევლი დიდად აღაფრთოვანა და გაამხიარულა. ყველა იმის მართლმკვეთელ სამართალს ლოცავდა და იმისი სიცოცხლის ხანგრძლივობას ავედრებდა ღმერთს.

კონჭკათიდგან ყოვლად სამღვდელო წაბრძანდა გოგოლეის-უბნის აბანოზედ, საიდგანაც ერთის კვირის დასვენების შემდეგ მათი მეუფება გაემგზავრა ქ. ფოთს.

კნინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლდეზედ უფსკრულის პირად მეოფ ბილიკებით მაღლა ასვლას. აგერ ბილიკიც გათავდა და კლდის ციცაბოებზედ მიფხორტვენ ახალგაზდანი. უკანად ზემოდგან მოირღვა უშველებელი ნატეხი კლდისა, წონით რამდენიმე ფუთი, მოხვდა ფარსადანოვს და უფსკრულში თან ჩაიტანა. შემკრთალნი მისნი თანამოგზაურნი მოუშვიდნენ თურმე კლდის გამოშვერილს ქიმს და შიშით გაინაბნენ. ამ დროს-კი პარსადანოვი მიექანებოდა კლდეზედ და მიიმალა თვალ-ჩაუწვდენელს ხევში. ორივე გადარჩენილი ყმაწვილი კაცი ჩამოვიდნენ თურმე როგორც იყო კლდიდგან და აცნობეს ეს ამბავი სხვებს. მკურნალი და ხალხი წავიდნენ საძებნელად და ერთს ღრანტეში ჰპოვეს, უკვე დასახიჩრებული გვამი სტუდენტის ფარსადანოვისა.

*** დ. სამტრედია. (ქუთაისის მაზრა). აქ დიდი გვალვაა. აქა-იქ სოფლებში ავადმყოფობაა ძალიან გავრცელებული: წითელა, მუცელა, ყელის ტკივილი და სხვ. უექიმობა ძალიან აბრკოლებს; მართალია დაბას ერთი ფერშალი ჰყავს, მაგრამ ის ყველას ვერა სწვდება. კარგი იქმნება განსაკუთრებული მკურნალი დაენიშნოს დაბას.

*** ახალ-სენაკი. თითქმის ოცი დღე იქნება, რაც სენაკის მაზრაში და აგრეთვე მთელს სამეგრელოში ეგრედ წოდებული მუცლის ფაღარათია მოდებული. ამ სენს ხალხი „მუცელას“ ეძახის. დიდი თუ პატარა ამ სენის გამო უწყალოდ იღუპება, განსაკუთრებით-კი პატარა ბავშვები. ხალხი ისე დაფრთხა, რომ ზოგიერთი თითქმის გადაიხიზნა კიდეც. მკურნალთა და ფერშლების რიცხვი ერთობ მცირეა, ასე რომ დროზედ ვერა ჰშველიან გაჭირვებულს ხალხს. სასურველია, სენაკ-ზუგდიდის ადმინისტრაციამ ეხლავე საჭირო ზომები მიიღოს, თორემ შემდეგ გვიან-ღა იქნება. სენი ერთის საზოგადოებიდგან მეორეში გადადის და ვრცელდება.

*** 1900 წლ. 22 ივლისიდგან 1-ლ აგვისტომდე გადამდებ სენით ავად გამხდარა ტფილისში: 2 ყვავილით, 2 წითელათი, 1 ყელქირვებით, 2 ხუნაგით, 1 ყივანა-ხველით (და მომკვდარა), და 1 ქოთაოთი და 3 მუცლის სახადით. სულ ავად გამხდარა 11, მომკვდარა 1. 16-დგან 22 ივლისამდე ავად არავინ გამხდარა.

## ჭიათურის შავიქვის მრეწველთა მესამე მორიგი კრება.

(დასასრული 29 ივლისისის კრებისა)

კრებამ დაიწყო პროგრამმის მეცხრამეტე მუხლის განხილვა, ე. ი. „შავი ქვის გამგზავნელებს როგორ დაენიშნოთ ბაქნები და სასურველია თუ არა ეხლანდელი წეს-რიგი დარჩეს ძალაში; აგრეთვე საფუძველი და წეს-რიგი იმისა, თუ შავიქვის მრეწველებს როგორ დაენიშნოთ მადნის გადასატანად დანიშნული ვაგონები“.

თავმჯდომარე. ეს საგანი ფრიად ვრცელი და რთულია. საბჭოს ამის შესახებ არა აქვს მოხსენება. იქნება კრებამ ისურვოს ამ საკითხის გამოსარკვევად კომისიის დანიშვნა.

წერეთელი ა. ჩვენ არა ერთხელ ამოვარჩიეთ კომისია, მაგრამ არაოდეს ამ კომისიამ წვრილ მრეწველთა ინტერესი არ დაიცვა, ის უფრო დიდრონ მრეწველებისაკენ სწევდა სასწორს.

ზდანოვიჩი გ. ფ. ამისთანა კომისია მართლად საჭიროა; ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება კომისია შესდგეს წვრილ მრეწველთა წარმომადგენლებისაგანაც და დიდრონ მრეწველთაგანაც, რომ ორივეს ინტერესი იყოს სამართლიანად დაცული. წინად მდიდარ და ღარიბ მრეწველთა ინტერესები ბაქანის განაწილების შესახებ ისე არ იყო ერთმანეთს დაშორებული, როგორიც ეხლა. ეს საგანი განსახილველად წამოყენებულია გზათა სამინისტროსაგან სულ ორი სამი კვირით ადრე, ვიდრე კრების დღე დაინიშნებოდა, ამის გამო საბჭომ ვერ მოასწრო თავის მოხსენება წარმოედგინა კრებისათვის. თუ კომისია შესდგა, იმას უნდა დაევალოს წარმოდგენა იმ მოსაზრებათა, თუ როგორ განაწილდეს ბაქნები ს. ჭიათურაში. რკინის გზის გამგეობა იქ ბაქნებს ვერ გააკეთებს, რადგან იგინი კერძო საკუთრებას შეადგენენ. რკინის გზის გამგეობის უფროსმა მირჩია, ჩვენ გამოგვესყიდა კერძო კაცებისაგან და შემდეგ რკინის გზა შეიძენდა. თუ მეხანიკურ დოლმართებს გავაკეთებთ, მაშინ ბაქნების განაწილება ისე უნდა მოეწყოს, რომ თუ მრეწველს მადანი დარკვეთის გზის მახლობლად აქვს, იმან ბაქანი მიიღოს ამ გზაზედ, ხოლო ვისაც სადგურ ჭიათურის მახლობლად აქვს, იმან ბაქანი ამ სადგურზედ მიიღოს. თუ ასე მოხერხდა, მაშინ გადასატანი ხარჯიც შემცირდება.

წერეთელი ა. მე ვფიქრობ, რომ დარკვეთის სადგურთან დამზადებული ბაქნებიც უნდა დანაწილდეს მრეწველთა შორის, იქ მე ერთი დესეტინა ადგილი მქონდა და რკინის გზამ ჩამომართვა იგი. სამაგიეროდ ვითხოვ, მომეცეს ბაქანი.

სოლოვიოვი. პ. პ. ბაქანის მიღება თუ გინდათ სადგურ დარკვეთთან, ყოველ ოთხ-კუთხ საჟენზედ ათი მანეთი იჯარა უნდა გარდაიხადოთ.

წერეთელი ა. ფულის შეტანა რად უნდა დამჭირდეს? თუ ადგილი ჩამომართვით, ბაქანი მიბოძეთ.

თ. ი. ნიჟარაძე. რა საჭიროა კომისიის დანიშვნა; ჩვენი ინტერესი ყველას ჩვენთაგანს კარგად ესმის, ვისაუბროთ, ერთმანეთის აზრი და შეხედულება გავიგოთ და ისე გადავწყვიტოთ ეს საგანი, როგორც ჩვენთვის ყველასთვის სასარგებლოა.

ზდანოვიჩი გ. ფ. მე თ. ნიჟარაძის სიტყვა ასე მესმის: დედა აზრი ამ საგნის შესახებ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, ხოლო დაწვრილებით განხილვა ამ საგნისა მივანდოთ კომისიას.

კრებამ ეს საკამათო საგანი გადასდო შემდეგი სხდომისათვის და შეუდგა მეცამეტე მუხლის განხილვას, ე. ი. „შტეიგერთა ინსტიტუტში ცვლილებათა შემოღების საქმეს“.

საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ზდანოვიჩი კითხულობს ამ საგნის შესახებ მოხსენებას; მოხსენებაში, სხვათა შორის, იმას ურჩევს კრებას, რომ შუამდგომლობა იქმნას აღძრული, რათა კრების საბჭოს უფლება მიეცეს შტეიგერთა მიღებასა და დათხოვნაში მონაწილეობა იქონიოს, რომ შტეიგერი ჰგრძნობდეს თავისს საბჭოსაგან დამოკიდებულებას და ფხიზლად იყოს თავისს თანამდებობაზედ.

თავმჯდომარე. სამრეწველო შტეიგერი ითვლება მთავრობის მოხელე კაცად და არას გზით მისი მოთხოვნა და მოწვევა არ იქმნება დამოკიდებული საბჭოს სურვილისაგან.

ცეიტლინი ა. გ. შტეიგერების მოწვევა და დათხოვნა რომ საბჭოს ნებაზედ მიაგდონ, მაშინ მრეწველები მოინდომებენ, რომ სამრეწველო ბოქაულიც იმათ დანიშნონ, მაზრის უფროსიც და სხ. ეს ხომ შეუძლებელი საქმეა.

ზდანოვიჩი გ. ფ. მე ძალიან მაკვირვებს ბ-ნ თავმჯდომარის და ოლქის სამთო ინჟინერის შეხედულება ჩემის მოხსენების შესახებ. იმათ რომ ყურადღება მიექციათ ჩემს მოხსენებაში დასახელებულ ერთ გარემოებისათვის, იქნება გადაურჩენოდი ამ შენიშვნებს. თუ შტეიგერი მხოლოდ სახელმწიფო მოხელეა, მაშ იგი უნდა ინიშნებოდეს თანამდებობაზედ მრეწველთა წარმომადგენლების დაუკითხავად, მაგრამ საქმე სულ მთლად ასე არ არის: შტეიგერს ნაკისრი აქვს ინსტრუქტორობაც, ტეხნიკოსობაც, საზოგადოდ იმას მრეწველნი ანდობენ თავიანთ კერძო საქმეებს. ახლა შტეიგერები ისეთ გარემოებაში არიან დაყენებულნი, რომ ადვილად შეუძლიანთ თავი დაიძვრინონ თავისის ზოგიერთ მოვალეობის ასრულებისაგან. დავასახელებ ერთს მაგალითს, რომ ჩემი ნათქვამი გასაგები იყოს თქვენთვის. რამდენმამე მრეწველმა სთხოვა საბჭოს ეშუამდგომლა ოლქის სამთო ინჟინერის წინაშე, რომ ბაქანებზედ შტეიგერებს შავი ქვა გაეზომათ ხოლმე. ბ-ნმა ინჟინერმა შესაფერი განკარგულება მოახდინა, მაგრამ შტეიგერებმა უარი განაცხადეს, ჩვენ დარიგების ძალით, ვალდებულნი არა ვართ ეგ საქმე ავასრულოთო.

ცეიტლინი ა. გ. ბ-ნი ზდანოვიჩი სრულის სისწორით არ გადმოგვცემს ამ შემთხვევას. შტეიგერებმა ჩემი განკარგულება ასრულებით-კი აასრულეს, მაგრამ უკმაყოფილება გამოაცხადეს.

თავმჯდომარე. ერთს წინანდელს კრებაზედ დავადგინეთ, რომ დღევანდელ საკამათო საგანთან განვეხილა პროგრამის მე-6 მუხლიც, ე. ი. შორაპნის შავი-ქვის მადნებზედ მთავრობის მიერ განწესებულ მეთვალყურე შტეიგერთათვის დამატებითის ჯამაგირის დანიშვნა, თითოეულ ხუთი წლის სამსახურისათვის თითოს 100 მან.

ჟდენტი გ. შტეიგერებს ჯამაგირს ვერ მოვუმატებთ, საკმაო ჯამაგირი აქვთ, ამას გარდა კერძო სამუშაო ბევრი აქვთ. ისინი სრულნი კმაყოფილნი უნდა იყვნენ თავისის მდგომარეობისა.

თ. ი. ნიჟარაძე. თითოეული შტეიგერი ჰშოულობს წელიწადში 4,000 მანეთზე მეტს. არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, რომ ჯამაგირი მოვუმატოთ. გახადონ ისინი ვალდებულნი, რომ სამადნო სამუშაო გეგმები უფასოდ გააკეთონ და მაშინ მე თანახმა ვიქნები თვეში მიეცეს თითოეულს მათგანს არა ასი მანეთი, თუ გინდა ორი და სამი ამდენი.

თავმჯდომარე. სიმართლე რომ ვთქვათ, ეს ჯამაგირი-კი არ არის, საჩუქარია ხუთის წლის სამსახურისათვის.

ამ საკამათო საგნის შესახებ კრებამ დაადგინა: დაევალოს საბჭოს, რათა მან იშუამდგომლოს სამიწადმოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის წინაშე, რომ გადასინჯულ იქმნას შტეიგერების წეს-რიგი და ამ გადასინჯვაზედ მოწოდებულ იქმნეს საბჭოს თავმჯდომარე, ან საბჭოს ერთი წევრთაგანი.

კრება გადაიდო საღამოს 7 საათისათვის.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. სურამი. წრეულს საშინლად გრილა წარსულ ზაფხულთან შედარებით. სააგარაკო ხალხიც ბლომად არის, სისუფთავემ თანდათან იჩინა თავი, მუდამ დილა საღამოს ქუჩებს რწყავენ, ასე რომ მტვერი აღარ აწუხებს მოაგარაკე ხალხს; ასე გასინჯეთ, 500 კომლამდის აღემატება მოსული ხალხი, უმეტესი წილი ქუთაისიდგან არის მოსული. სააგარაკო სახლები ხომ სოკოსავით მრავლდება: ორმოცამდე ახალი სახლი მოემატა. სანოვაგე საშინლად იაფია, მეტად კარგ საქონელს ჰკლავენ, 8 კაპეიკად ჰყიდიან ცხვრის ხორცს. მხოლოდ ეს არის, რომ ცოტა წრიალფეხობა გამჟღავნდა, ე. ი. ქათამი, ინდოური, ბატი და იხვი. ამისი მიზეზია ახლად მოსული ჯარი. საშინელი მხიარულობაა სურამში, პარკი მშვენივრად მოაწყო ბ-ნმა ნოდიამ, რომელსაც აქვს აღებული იჯარით ლოტოშეილებისაგან, მშვენიერი სცენაც გაუკეთებია, სადაც ორი წარმოდგენაც იყო: პირველი წარმოდგენა 23 მკათათვეს სურამის ეკკლესიის, წიგნთ-საცავისა და ახალ სცენის სასარგებლოთ. ბ-ნ კოტე ყიფიანის მონაწილეობით დადგეს რამდენიმე რუსული და ქართული კომედიები. სუსტად ჩაიარა ამ წარმოდგენამ, თუმცა ხალხი უკეთესს ელოდა. მოთავენი ამ წარმოდგენისა იყვნენ აქაურ მომრიგებელ-მოსამართლის მეუღლე და ინჟინერ მუსტის მეუღლე. ბევრი ხალხი დაესწრო, 600 მან. შემოვიდა. თუმცა ჯერ დაბეჯითებით არავინ გაგვაგებინეს, ყური-კი ასე მოვკარით, ხარჯ-გარდა დარჩაო 383 მანათი. 26 მკათათვეს სტუდენტების სასარგებლოდ საუცხოვოდ ჩაატარეს წარმოდგენა ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ, ვ. აბაშიძემ და სხვებმა. სულ შემოსავალი იყო 400 მან.

სურამელი ვანო

## უცხოეთი

ჩინეთი. სახალინსა და აიგუნთან ბრძოლაში რუსებს დიდ ძალი ნადავლი წაურთმევიათ ჩინელებისათვის, სახელდობრ: 4 ფოლადის შორს-მსროლელი ზარბაზანი, 18 ბრინჯაოს ზარბაზანი და 15 სხვა ჯურის ზარბაზანი, 900 თოფი, 3000 ფუთი მსხვილი თოფის წამალი, 80 ფუთი წვრილი წამალი, აუარებელი ყუმბარა, 60 ყუთი ტყვია, 50 დროშა; ამას გარდა წაურთმევიათ ჩინელებისათვის მრავალი მშვილდ-ისრები, ხიშტები, ცულები და სხვ. აუფეთქებიათ რუსებს 26 წამლის საწყობი სხვა და სხვა ადგილას; დაუფლებიათ გზა და გზა 700 მოკლულის ჩინელების გვამი; სახალინი და აიგუნი მიწასთან გაუსწორებიათ.

— გერმანიამ კარგა ბლომა ჯარი გაჰგზავნა ჩინეთში, მაგრამ ამას არ სჯერდება და კიდევ ჰგზავნის თურმე. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, სექტემბერში გერმანიის მთავრობა ხუთი ან შვიდი ათას ჯარის-კაცს კიდევ გაისტუმრებს ტაკუში. გემები ამ ჯარისათვის უკვე დაუქირავებიათ. დღემდე გერმანიას ჩინეთის საქმეების გამო დაუხარჯნია 80 მილიონი მარკა.

— ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ მანჯურიის იმ ნაწილში, რომელიც რუსეთს აკრავს მდინარე უსურის მარცხენა ტოტების მახლობლად, დიდი მზადებაა და ჯარი იკრიბება რუსეთის საზღვარზედ დასაცემადაო. ამ ხმების სინამდვილის გამოსაკვლევად რუსეთიდგან მცირე რაზმები გაჰგზავნეს მანჯურიაში. რაზმებმა საზღვრიდგან ასი ვერსი გაიარეს, მაგრამ ვერაფერი საეჭვო ვერ შეამჩნიეს. მცხოვრებნი თავისთვის მუშაობენ და ისე იქცევიან, თითქოს არც-კი გაუგიათ, მოხდა რამ თუ არა. ჯარი თითქმის არსად არ შეხვედრიათ რაზმებს. მხოლოდ ერთ ძველ ციხეში 25 ჩინელი ჯარის-კაცი უნახავთ.

— შანხაიდგან „Standard“-ს ატყობინებენ: „შანციდგან აქ ძალიან ბევრი მისიონერი მოდის. ყველანი დიდად აქებენ მანჯურიის გუბერნატორს ტუან-ფანგს და ამბობენ, ეს გუბერნატორი სანაქებოდ ზრუნავს უცხო-ქვეყნელთა და მისსიონერთათვის; იმის წყალობით 80 მისიონერი სიკვდილს გადარჩა, გუბერნატორმა არამც თუ დამცველი ჯარი, ფული და სურსათიც-კი გაუგზავნა მისიონერებსაო. სამაგიეროდ ხენანის გუბერნატორი, რომელიც ევროპიელთა წინააღმდეგია, უღიერად და სასტიკად ექცევა თურმე უცხო-ქვეყნელთ.

ინგლის-ტრანსვაალის ომი. ეჭვი არ არის, მკითხველი მიაქცევდა ყურადღებას სამხრეთ-აფრიკიდგან მოსულ უკანასკნელ დეპეშას. წინა დღეს რობერტსი იუწყებოდა, რომ კიტჩინერი და სხვა გენერლები კვალ და კვალ მისდევენ დევეტსაო. მეორე დღეს-კი ამბავი მოვიდა, რომ დევეტმა 4000 ინგლისელი დაატყვევა და გენერალს ბადენპაუელს დამორჩილება მოსთხოვაო. სწორედ საკვირველ ამბებს სჩადის დევეტი. თუ მართალია ის ამბავი, რომ კიტჩინერი და სხვა გენერლები მისდევდნენ დევეტს, ისიც კვალ-და-კვალ, ერთი ათად და ოცად უფრო გასაოცარია ამდენ ინგლისელის დატყვევება. აშკარაა, ბურებს ჯერ კიდევ ზურგი მაგრადა აქვთ და საზოგადოდ საქმე სამხრეთ აფრიკაში ისე არ არის, როგორც ამას ინგლისური დეპეშები გადმოგვცემენ. ჯერ კიდევ ბევრ მწარე დღეს უჩვენებენ ბურები ინგლისელებს და მაგრე ადვილად არ შეანარჩუნებენ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაკარგვას.

— რამდენად უკმაყოფილონი არიან თვით ინგლისის ქვეშევრდომნი სამხრეთ-აფრიკის ომით და ტრანსვაალისა და ორანჟის დაპყრობით, სჩანს, სხვათა შორის, იქიდგანაც, რომ კაპის ახალშენის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრებ ბურებს გადაუწყვეტიათ სამხრეთით მდებარე გერმანიის ადგილებში გადასახლება. გერმანიის ადგილობრივი მოსულენი სიამოვნებით ეგებებიან თურმე ბურებს და მიწა-ადგილს უთმობენ დასასახლებლად. გადასახლებულნი ყველანი შეძლებულნი ყოფილან.

სერბია. სერბიაში დარწმუნებული ყოფილან, რომ მეფე ალექსანდრეს მამა მილანი, რომელმაც უკმაყოფილება განაცხადა თავისის შვილისა და დრაგა მაშინას შეუღლებისა, უკანასკნელ წუთს გაჩნდება ბელგრადში, აჯანყებს ჯარს, ალექსანდრეს მეფობიდგან გადააყენებსო და თითონ გამეფდებაო. ამის გამო

მეფის ბრძანებით ჯვარის წერის წინა დღეს სერბიის ჩრდილოეთ საზღვარზედ ჯარი გაამწკრივებინათ, რომ, თუ განიცობაა მიდანი გაჩენილიყო, შეებერით იგი. მაგრამ შიში არ გამართლდა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

რაგვარი მასალა უნდა მიაწოდოს გაზეთმა მკითხველს ზაფხულში, იმ დროს, როდესაც მკითხველი ყველაზედ ნაკლებ ეტანება გაზეთს და როდესაც არც საგაზეთო მასალა მოიპოვება მაგრე რიგად? ამგვარის კითხვით მიუმართავს ამერიკულ გაზეთს „Stamplefon Gazette“-ს თავისს ხელისმომწერთათვის და ამასთან დაჰპირებია, ვინც კარგ პასუხს გვაცნობებს, ის რედაქციისაგან 1000 მანეთს მიიღებსო. გაზეთს სულ 4000 პასუხი მიუღია, მაგრამ ჯილდოს ღირსად ვერც ერთი ვერ უცვნიათ. ვინმე ჯეკ ბეკსნფს, ჩიკაგოელ ხელის მომწერს, ურჩევია რედაქციისათვის, ზაფხულში რაც შეიძლება მეტი გასართობი აბდაუბდა ჰბეჭდეთო. ისეთი არაფერი არ უნდა დაჰბეჭდოთ, რაც გონების მუშაობას მოითხოვსო. მკითხველი ზაფხულში ტყუილისათვისაც არ უსაყვედურებს გაზეთს; ზღვის პირას, ან აგარაკში ყოფნის დროს რაში მინდა ან პოლიტიკა, ან ეკონომია, ან სხვა რამ ასეთი; მაშინ ზღაპრებით უფრო გავერთობიო. მეორე ხელისმომწერისაგან უფრო კარგი პასუხი მიუღია რედაქციას: „უმჯობესი იქმნება,—სწერდა თურმე ეს ხელისმომწერი,—მთელს ზაფხულს რომ გაზეთის გამოცემა შეაჩეროთ; ამით ყველაზედ დიდ სამსახურს გაუწევთ მკითხველებს“. ბარათის ქვეშ ავტორს „გულწრფელი კაცი“ მოუწერია. რასაკვირველია, რედაქციას ეს დარიგება არ მიუღია, პირიქით ძალიან მოუსურვებია წერილის ავტორის გაგება და ამიტომ ახალი ჯილდო დაუნიშნია იმისათვის, ვინც ამ „გულწრფელის კაცის“ ადრესს აცნობებდა.

* * *

ბედნიერი კაცია სამხრეთ აფრიკაში მყოფი ინგლისის ჯარის მთავარ-სარდალი რობერტსი! მთელს ინგლისში უკვე მოიპოვა გმირის სახელი იმით, რომ 200,000 ჯარისკაცით დაამარცხა 30,000 ბური, და ეხლა მალე დიდძალ ფულსაც მოიპოვებს. როგორც ინგლისური გაზეთები იუწყებიან, ერთი ამერიკელი გამომცემელი შეჰპირებია ფელდმარშალ რობერტს, ერთ მილიონ მანეთს მოგცემთ, თუ დაწვრილებით აგვიწერთ ტრანსვაალის ომსაო. იმავე გაზეთების სიტყვით რობერტსს მიუღია ეს წინადადება და შესდგომია კიდეც მასალის შეკრებასა და ომის ისტორიის წერას. ეხლა, რაკი კალმისთვისაც მოუკიდნია რობერტსს ხელი, ეჭვი არ არის, უფრო მედგრად იომებს და ბურებს სულ მალე მოუღებს ბოლოს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 აგვისტო.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც ამიერიდგან ჩინეთში სამხარ იარაღისა და წამლის გატანა აღკრძალულია.

გენერალმა ორლოვმა 1-ლ აგვისტოს 7,000 ჩინელზედ გაიმარჯვა იაკშის მახლობლად.

**გონკონგი.** გუანის პროვინციის მანდარინები დიდად სცდილობენ უცხოელთათვის; გამოსცეს პროკლამაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ ჩინეთში წესიერების დარღვევა ზოგიერთა დიდად გავლენიან სახელმწიფო მოღვაწის წყალობით უფრო გამწვავდაო; ეს ის მოღვაწენი იყვნენ, რომელთაც „დიდ მუშტთან“ კავშირი ჰქონდათო; ამისა გამო პეკინის აღება სწორედ სამართლიანი სასჯელიაო. მანდარინები აცხადებენ, რომ ახლა შეერთებულ ჯარების საგანი მხოლოდ ის არის, რომ მშვიდობიანობა იქმნეს აღდგენილი, მაგრამ სამოქმედო ნიადაგს მხლოდ ჩინეთის ჩრდილო ნაწილი უნდა შეადგენდესო. მცხოვრებთ სასტიკად ებრძანებათ აჯანყებულებს ერიდნენ და უცხოელნი დაიცვან.

**შანხაი.** გაიგო თუ არა ნანკინის მეფის მოადგილემ, რომ მისი ნოტა, რომელიც პატივისცემით მოჰყრობას თხოულობდა იმპერატრიცასა და საიმპერატორო გვარისადმი, მუქარად მიუღიათო, მაშინვე დეპეშა გაუგზავნა ინგლისის კონსულს, რომლითაც წინააღმდეგობას აცხადებდა აზრის ასე გადასხვაფერებისა გამო და აღიარებდა, რომ შემდეგშიაც მუდამ წესიერებას დავიცავ იანცზეს პროვინციაში და მშვიდობიანობის პოლიტიკის მომხრე ვიქმნებიო. ოფიციალურის ცნობით, 28 ივლისს დაჭრილი ლიპინხენი 30 ივლისს გარდაიცვალა. ინგლისის ჯარის ნაპირზედ გადმოსხმა ადგილობრივ მცხოვრებთ სრულიად არ აღელვებს; 100-მდე ფრანგი ჯარის-კაცია უკვე მოსული. როგორც ხმა ისმის, ტიანძინში სამხედრო გემი თურმე იგზავნება, რომ პეკინში განთავისუფლებულნი წამოიყვანოს.

**ჩიფუ.** 7 აგვისტო. შეერთებული ჯარები იმპერატორის გამაგრებულს სასახლეს ესვრიან თოფ-ზარბაზანსა; ფიქრობენ, ვითომ დედოფალი შიგ იყოს.

**ბრიუსელი.** ამტკიცებენ, დელკასეს განზრახვა აქვს წინადადება შეიტანოს, რომ საერთაშორისო სადიპლომატო კონვენცია იქმნას მოწვეული პარიჟში იმის გარდასაწყვეტად, თუ ზოგიერთ სადიპლომატო და სამხედრო კითხვებში რანაირად შეთანხმდნენ სახელმწიფონი, რომელნიც ამ ჟამად ჩინეთის საქმეში იღებენ მონაწილეობასა.

8 აგვისტო

**პარიჟი.** მართლდება ის ხმა, რომ დელკასეს აზრადა აქვს წინადადება მისცეს სახელმწიფოებს პარიჟში კონფერენცია იქმნას მიწვეული ჩინეთში თანხმობით მოქმედების შესახებ მოსალაპარაკებლად.

**ტოკიო.** იაპონიის აქაურმა საელჩომ მიიღო დეპეშა ტოკიოდგან, 6 ივლისს გამოგზავნილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ მოკავშირეთა ჯარის პეკინში შესვლის შემდეგ ჩინეთის ჯარი იმპერატორის სასახლესთან წავიდა და იქ დარჩა; იაპონიის ჯარს მიენდო იმპერატორის სასახლეზედ თვალ-ყურის ჭერა; მას ჩინეთის ჯარმა წინააღმდეგობა გაუწია; ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. იაპონიის ჯარის მთავარი ბინა საელჩოშია; იაპონიის დივიზია დაბინავებულ იქმნა სოფლებში, ანდიკმინის ალაყაფის კარებს გარედ.

**შანჰაი.** ჩინეთის ოფიციალურ წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, სამი წარჩინებული მანდარინი კიდევ იქმნა სიკვდილით დასჯილი: საშინაო საქმეთა მინისტრის თავმჯდომარე ხაუდუნი, იმპერატორის კარის მინისტრი ლიჯოუ და ძუნგლიამენის წევრი იულიენიუანი; პირველი ორი მტრულად ექცეოდნენ ევროპიელებს, მესამე კი, პირიქით, უცხო ქვეყნელთა მომხრე იყო. გენერალი იუნ-ლუ პრინცმა ცინმა ტყვედ წაიყვანა. იმპერატორი და იმპერატრიცა 60 მილის მანძილზედ არიან პეკინიდან სადაც მათ პრინცი ტუანი ადევნებს თვალ-ყურს. ლიხუნგ ჩანგი ჩრდილოეთისკენ გაემართა.

**პარიჟი.** თავად ტენიშევს ებოძა ორდენი საპატიო ლეგიონისა.

## ქართულის ენის საუნჯის მასალად

ბარაპიპინებული—მეტად სავსე, როდესაც თავს გადადის.

ბამოპრიალება—ახალი ტანისამოსით გამოსვლა.

ბამოწყვეტილი—შერცხვენილი.

ბაგუდული—გულ-მოსული, გაჯავრებული.

ბალაქლაქებული—ურცხვი მოლაპარაკე.

ბატლიკინებული—დიდის ენის პატრონი, ბევრას მოლაპარაკე.

ბადაკვრა—უცებ დალევა სასმელისა, ღვინისა.

ბამოკვანწული—კოხტად გამოწყობილი.

ბამოსკვინჩული—ვიწრო ტანისამოსიანი.

ბამოკრუხებული—როდესაც ქვრივი გამოიგლოვს და სხვას დაეძებს.

ბასანსალებული—გალესილი მეტად.

დახეფსება—ცოტა რამეს შეჭმა.

აკვარჩხალება—წყლის ადუღება.

სურსუტი—მოუთმენელი, სულწასული.

ფრახი—ნამუს-ახდილი დედაკაცი.

როკაპი—ავი ქალი.

ჯანჯალი—მაგარი ვაჭრობაში.

ლაყუნი—უსაქმოდ სიარული.

მესოფლია—სოფელში უსაქმოდ ყიალი თავის შესაქცევად.

ძომანი—ზარმაცი, ზანტი.

ფინფლი—ნამცეცი.

ტენტერი—უჭკუოდ ლაპარაკი.

პრუტუნი—ზედ-მეტი ლაპარაკი.

ფლიქვინი—გულ-მოსკვნილი ტირილი.

დასისტიქინება—დაგინება.

ლენჩი—გაუგებარი.

დაბარძღული—დაბალის ტანისა, მახინჯი კაცი.

ვლადო ბზვანელი

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

11 აგვისტო

საქმე გიორგი მდივანისა, ლიდია მაჭავარიანისა, ალექსანდრე კიკნაძისა და მალაქია და ივანე პანტურიძეებისა, რომელთაც ყალბის თამასუქების შედგენის ბრალი ედებათ.

საქმე შიმშოლა ტაბელაშვილისა, რომელსაც ქურდობის ბრალი ედება.

18 აგვისტო

საქმე ბიჭია ბესარიონის ძის ბაქრაძისა, რომელსაც გაძარცვა ჰბრალდება.


# განცხადებანი

# ბორჯომში

12 აგვისტოს, 1900 წელს, სამკურნალო წყლების სასეირნო ბაღში, **შეუძლებელ სტუდენტთა სასარგებლოდ**

გაიმართება

სეირნობა და საცეკვაო

# საღამო

ბაღი გაჩირაღდნებული და მორთული იქმნება. სეირნობა საღამოს 5 საათზედ დაიწყობა, ცეკვა—9 საათზედ.

ბილეთი ჰღირს: მანდილოსნებისათვის—1 მანეთი, მამაკაცებისათვის 2 მანეთი, ხოლო სტუდენტებისათვის 50 კაპ.

მარტო ბაღში შესვლა მოზრდილთათვის 50 კაპ. ჰღირს, ბავშვებისა და მოსწავლეებისათვის—25 კაპ.

საღამოს დიასახლისნი: ე. დ. ასტაფიევისა და კნ. ო. ა. მელიქიშვილისა.

(2—უ.—1)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ცეიმოლის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—17)

# ქუთაისის ჭაჭვიცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ჰურჰლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში

1 ივნისიდგან გადატანილ იქმნა ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—30)

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) **უკვდავთა და ლანდები** ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.

ბ) **ქართული მწერლობა მე X საუკუნემდე**, ფასი 40 კაპ.

გ) **Царица Тамара**, ფასი 50 კ.

დ) **Груз. обители внѣ Грузіи**, ფ. 25 კ.

ე) **Истор. груз. церкви**, ფ. 40 კ.


## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან:

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ სამოცი ვაკანსია: პირველ განყოფილებაში 50 ვაკანსია (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და მეორეში 10 ვაკან. (8 და 9 წლ. ყმაწვ.) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 60 ვაკანსიიდგან 56 არის დანიშნული გარედგან მოსიარულეებისათვის, ორი საზოგადოების სრულ ხარჯზე და ორიც ნახევარ ხარჯზე.

3) ვინც საზოგადოების სრულ ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედგან მოსიარულედ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა დამფუძნებლობისა და სიღარიბისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი დაშვებულნი იქმნებიან წილის ყრით.

წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანისობ შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფული დარჩენილი, იმისთვის, რომ ადგილი დაუცალოს ახალ შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზედ დარჩენილი, თორემ მათი შვილები უსათუოდ იქნებიან დათხოვნილნი პანსიონიდამ.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ-მეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ განთავისუფლდეს რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი—შემოსვლისათანავე და ათიც იანვარში.

9) თხოვნების შემოტანა შეიძლება აგვისტოს 25-დის.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ, въ д. Селикова.

10) აგვისტოს, 26 და 28 რიცხვებში მოხდება ხელ მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31-ს მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს დაიწყება სწავლა.

11) პანსიონში არ იქმნებიან მიღებულნი აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1900—1901 წლის სასწავლო ფულის ნახევარს.

12) ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთაც შეეძლოს სკოლის გამგეობას მიმართოს როგორც ფულის თავის დროზე შემოტანისა, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8-го Августъ 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე